ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №176780

ნომერი: AR144673

თარიღი : 27.04.2012

გაცემის თარიღი : 22.05.2012

გაცნობის თარიღი : 29.05.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანაპირო , N8ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ მამუჭაძე პ/ნ 61002014553
- ბათუმი 26 მაისის ქ. N 55/57 ბ. 58

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. N8ა–ში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობას.

განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განიხილა გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N19, 08.05.12ე.), რომლის დასკვნის საფუძვლეზე საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. მოთხოვნის ტექსტში აღნიშნულია მხოლოდ სარეკლამო აბრის მოწყობის თაობაზე, ხოლო წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟიდან ირკვევა, რომ ხდება ფასადის რეკონსტრუქცია. შესაბამისად, საჭიროა განაცხადი დაარეგისტრიროთ ნომენკლატურაში: I კლასი აბრებისა და რეკლამების განთავსება, შენობა–ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონტრუქციებისა და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი; ქმედებები – რეკონსტრუქცია.
2. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ფართის მესაკუთრის თანხმობა სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესძლებლობის თაობაზე;
3. არ არის წარმოდგენილი განმცხადებლის, მოქ. მალხაზ მამუჭაძის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების, მოთხოვნის ტექსტში ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური აღწერისა და განაცხადის შესაბამის ნომენკლატურაში დარეგისტრირების შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.